



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000019454169020

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 22

01 / ივლისი / 2020 წ.

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ. ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის (20026.0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი თუშეთი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე- 5, მე- 6 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ. ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის (20026.0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა თავისი ინფრასტრუქტურით) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი თუშეთი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა ორი წლის ვადით. საკადასტრო კოდი 50.03.35.335
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელმეპროწილად



თამარ ყვინიშვილი